განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
24 იანვარი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
27.03.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი (06)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №38, 12.02.2013)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაისურაძე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია, შპს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დემეტრე ეგნატაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია გავლილი აქვს 2013 წელს. თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება და გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია“. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია „მაგისტრანტისათვის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დავების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების სწორი და ეფექტური გამოყენება, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, შრომით ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და კვლევის უნარის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის“.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ECTS სისტემით მოიცავს 120 კრედიტს, ორიენტირებულია სამართლის მაგისტრის საქმიანობის საჭირო ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებაზე. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. სავალდებულო კომპონენტებია: აკადემიური წერა იურისტებისათვის (12 კრედიტი): პრაქტიკა (30 კრედიტი), არჩევითი კომპონენტი მოიცავს 48 კრედიტს და წარმოდგენილია სხვადასხვა დარგის მიხედვით არჩევითი სასწავლო კურსები რომელსაც ირჩევენ სტუდენტები. კვლევით კომპონენტზე განსაზღვრულია 30 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე დაგროვილი აქვს მინიმუმ 24 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტების ვიზიტი შედგა 2018 წლის 24 იანვარს. ექსპერტები შეხვდნენ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დადებითი მხარეები: სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას კოორდინაციას უწევენ მონდომებული მუშაკები, რომლებიც ცდილობენ, რომ პროგრამა და უნივერსიტეტი გახდეს უკეთესი. სტუდენტებს და ლექტორებს კარგი

კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთში; ლექტორები ხელმისაწვდომნი არიან კონსულტაციისთვის. ხაზგასასმელია პრაქტიკული კლინიკების არსებობა.

უარყოფითი მხარეები: თვალსაჩინოა პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემები, არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომებთან, არამედ სილაბუსებთან დაკავშირებით; ლექტორების კვალიფიკაცია არ არის პროგრამის და მათ მიერ წაკითხული საგნების სილაბუსების მიზნებთან შესაბამისი; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არ აქვს საკმარისი ოდენობით გამოცემული სტატიები ციტირებად ჟურნალებში; აკადემური წერის სტანდარტი არის დაბალი; ხარისხის სამსახური ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად; ბიბლიოთეკაში შეინიშნება წიგნების, განსაკუთრებით უცხოენოვანი წიგნების სიმწირე; ბიბლიოთეკაში არ არის იქ არსებული წიგნების ელექტრონული ბაზა, რომელიც მკითხველისთვის იქნება ხელმისაწვდომი; სილბუსებში არ არის მითითებული მნიშვნელოვანი და უახლესი ლიტერატურა; სასწავლო პროცესის მართვის ელეტრონული ბაზის / სისტემის არქონა - რაც ართულებს ეფექტურ კომუნიკაციას სტუდენტებს და ლექტორებს შორის და ზრდის სხვადასხვა სახის ხარჯს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტისათვის; კომპიუტერული რესურსის ნაკლებობა; ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები; პროგრამის მიზნობრივი ბიუჯეტის არარსებობა.

ფაკულტეტის მხრიდან გასაუმჯობესელია სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული შემდეგი სფეროები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხი, მათ მიერ სტატიების გამოქვეყნება და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განახორციელება; სილაბუსების შინაარსობრივი და ტექნიკური მხარე; აკადმიური წერის სტანდარტი; სამაგისტრო პროგრამის ხარისხის მონიტორინგი; ინტერნაციონალიზაციის სტანდარტი, ბიბლიოთეკა, ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული და სხვა მატერიალური რესურსი.

- **რეკომენდაციები**
  - რადგან უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისიაა კონფლიქტის რეგულირებაზე კონცენტრირება, ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით საგნების დამატება (მაგალითად, მედიაცია, მოლაპარაკებების წარმართვა), ასევე, ამ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო ცენტრის შექმნა.
  - პროგრამის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მაღალპროფესიონალი კადრებით ფაკულტეტის დაკომპლექტება, რომლებიც გამოირჩევიან შესაბამისი პასუხისმგებლობით და ეთიკური სტანდარტებით, მათ შორის, პლაგიატის წესებთან დაკავშირებით;
  - აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა (როგორც უცხოენოვანი საგნების რიცხვის, ისე უცხოენოვანი ლიტერატურის რაოდენობის ზრდა;
  - პლაგიატის წესების გამკაცრება, რაც დასტურდება როგორც სამაგისტრო ნაშრომებიდან, ასევე, სილაბუსებიდან და ასევე, შესაბამისი ელექტრონული ბაზის არარსებობიდან გამომდინარე;
  - აუცილებელია ხარისხის, არა მხოლოდ, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსი, არამედ, ასევე, როგორც პოლიტიკის გაძლიერება ფაკულტეტის მხრიდან. რადგან შემოწმების დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემები, რაც აღწერილია, როგორც რეკომენდაციებში, ასევე, წინამდებარე დოკუმენტში სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს, მათ შორის სილაბუსების შინაარსობრივი და ტენიკური მხარის

მონიტორინგი, ასევე, პერსონალის მხრიდან პლაგიარიზმის შემთხვევა სილაბუსის შინაარსთან დაკავშირებით, აუცილებელია როგორც საკუთრივ ხარისხის ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე, ხარისხის პოლიტიკის გაძლიერება უნივერსიტეტის მხრიდან;

- აუცილებელია მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ბაზის შექმნა;
- სილაბუსების განახლება როგორც ზოგადი, ასევე, შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით გაუმჯობესება;
- მიზნობრივი ბიუჯეტის გათვალისწინება;
- კომპიუტერული რესურსის გაზრდა;
- ელექტრონული ბაზის სისტემის შექმნა, სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ურთიერთობისთვის (დავალების მიცემა, მასალების ატვირთვა და ა.შ.)
- სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერება.
-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამისთვის ფინანსური რესურსის ზრდა;
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2013 წლის აკრედიტაციის დასკვნაში რეკომენდაციებად მითითებულია საერთაშორისო სამართლის მიმართულებით არჩევითი საგნების რაოდენობის ზრდა და სტუდენტებისთვის უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულენოვანი ალტერნატიული სახელმძღვანელოების და/ან რიდერების შეთავაზება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისთვის პროგრამას აქვს 5 საერთაშორისო სამართლის საგანი, რაც არ არის ცუდი შედეგი, თუმცა ფაკულტეტმა უფრო მეტი უნდა გააკეთოს საერთაშორისო სამართლის საგნების ოდენობის გასაზრდელად.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე რეკომენდაცია არ არის შესრულებული. წინამდებარე დოკუმენტში განხილული გვაქვს, რომ ბიბლიოთეკა და შიგნით არსებული მატერიალური რესურსი, მათ შორის რიდერების თვალსაზრისით, არის გასაახლებელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგადი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც მეტნაკლებად დასტურდება თვიშეფასების დოკუმენტიდან, თუმცა განხორციელებული ვიზიტიდან გამომდინარე რთულია იმისი მტკიცება, თუ რამდენად არის პროგრამის მიზნები მიღწევადი. მაგალითად, შეხვედრაზე, როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, ასევე, ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია არის აფხაზების და ქართველების შერიგების პროცესის მხარდაჭერა. პროგრამის მიზანში აღნიშნულია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია "დავების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების სწორი და ეფექტური გამოყენება", თუმცა არსებული სასწავლო კურსებიდან და მათი შესაბამისი სილაბუსებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა აღნიშნულ მიზანს ვერ ახორციელებს, რადგან აღნიშნული მიმართულებით შეთავაზებულია მხოლოდ ერთი საგანი ("კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები"), რომელიც ორიენტირებულია კონფლიქტებთან დაკავშირებული თემატიკის უფრო მეტად ისტორიულ კონტექსტზე, ვიდრე დავების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებზე, როგორც ეს პროგრამის მიზანში არის აღნიშნული. მეორე საგანი, რომელიც უნივერსიტეტის მოსაზრებით, ასევე, ასწავლის სტუდენტებს დავების გადაწყვეტის თანამედროვე მექანიზმებს და მეთოდებს არის „ძალის გამოუყენებლობის პრინციპი და ძალის გამოყენების გამონაკლისი შემთხვევები საერთაშორისო სამართალში". თუმცა ეს ორი საგანი მაინც არ არის საკმარისი სამაგისტრო პროგრამის მიზნის დასაკმაყოფილებლად. ის, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზანი არ არის მხოლოდ აფხაზების და ქართველების შერიგება ამას ადასტურებს საკუთრივ უნივერსიტეტის პასუხში არსებული ჩანაწერი „ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზანი "დავების გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების სწორი და ეფექტური გამოყენება" გულისხმობს არა მხოლოდ აფხაზებსა და ქართველებს შორის შერიგების პროცესის მხარდაჭერას, არამედ ნებისმიერი დავის გადაწყვტას სხვადასხვა დარგის ფარგლებში. ამდენად, სამართლის სამაგისტრო პროგრამა არ შეიძლება კონცენტრირებული იქნას მხოლოდ ერთი ტიპის დავის გადაწყვეტაზე აიგოს, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამართლის საგანმანათლებლო პროგრმის დარგობრივ მახასიათებლებთან". შესაბამისად, აუცილებელია ისეთი სასწავლო კურსების დანერგვა, რომელშიც შევა მედიაციის და მოლაპარაკებების წარმართვის თანამედროვე გამოყენებითი მეთოდები, რაც შეიძლება გახდეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის გამაძლიერებელი სტუდენტებისთვის. ანუ უფრო ფართო ფოკუსის გაკეთება ზოგადად დავების გადაწყვეტის მეთოდებზე (რაშიც შეიძლება შევიყვანოთ ბიზნეს დავებიც, საოჯახო დავებიც და სხვა სფეროებში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის შემთხვევები). შესაბამისად, ჩვენ ვიზიარებთ უნივერსიტეტის სულისკვეთებას და რეკომენდაციას ვაძლევთ, რომ სამაგისტრო პროგრამა კონცეტრირებული იყოს „ნებისმიერი დავის

გადაწყვეტაზე სხვადასხვა დარგის ფარგლებში“. ეს უკანსკნელი ამჟამად სამაგისტრო პროგრამაში არ გვხვდება.

პროგრამის მიზანში აღნიშნულია ასევე, “უახლეს სამეცნიერო იდეებზე განათლების მიღება და გავრცელება “, თუმცა მსგავსად ზემოთ აღნიშნულისა, სასწავლო კურსების სილაბუსები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამა რეალურად უზრუნველყოფს უახლესი სამეცნიერო იდეების გავრცელებას და სტუდენტებისთვის მიწოდებას.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010-დან 2016 წლის ჩათვლით, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა შრომებში დაწერილია 17 სტატია სამართლის მიმართულებით http://old.sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=170.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სხვადასხვა მემორანდუმი პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც ძალიან კარგია. თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, მიუხედავად უნივერსიტეტის განცხადებით დასაქმების მაღალი მაჩვენებლისა, რთულია ვიმსჯელოთ რამდენად ყალიბდებიან კონკურენტუნარიანი კადრები, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომები
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პასუხი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის მიზანი არ არის განყენებული ცნება, რომელიც უნდა განხილულ იქნეს მხოლოდ დაწესებულების მისიასთან შესაბამისობაში. დაწესებულების მისია და პროგრამის მიზანი რეალურად უნდა ასახავდეს პროგრამის მიერ განსახორციელებელ შესაძლებლობებს, ხოლო თავის მხრივ სასწავლო კურსები უნდა იძლეოდეს მისიის და პროგრამის მიზნების რეალურად განხორციელების პერსპექტივას. სხვა შემთხვევაში გამოვა, რომ პროგრამის კომპონენტები არ არის ერთმანეთთან თავსებადი, შესაბამისად, არ არის დაწესებულების მისიასთანაც შესაბამისი და განხორციელებადი. ამასთან, რამდენადაც ეს მიმართულება სახელდება პრიორიტეტულად, მიზანშეწონილია კონფლიქტების მოგვარების სფეროს სწავლებისა და კვლევის გაძლიერება, ლიტერატურის განახლება პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და სამაგისტრო კვლევის ხელშეწყობისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

×ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა არ შეესაბამება აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს. მაგალითად, სასწავლო კურსში "შედარებითი საკორპორაციო სამართალი" სწავლის შედეგების კომპონენტში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნართან დაკავშირებით მითითებულია, რომ სტუდენტს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინება თუ როგორ "განმარტოს და გამიჯნოს კორპორაციული მართვის მოდელები და გამოკვეთოს სისტემური თუ ლოკალური პრობლემები მმართველობით საქმიანობაში". საკუთრივ სასწავლო კურსის სილაბუსში მე-14 ლექციად მითითებულია შემდეგი საკითხის შესწავლა: "საზოგადოებათა მართვის თანამედროვე მოდელები. მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემები: Sarbanes-Oxsley Act და მისი გავლენა თანამედროვე კორპორაციული კონტროლის სისტემაზე". თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ განსხვავებით კორპორაციული მართვის სისტემებისგან, არსებობს ბევრი კორპორაციული მართვის მოდელი (რომელთაგან 5-6 მაინც არის განსახილველი როგორც ყველაზე გავრცელებული მოდელები), ასევე, იმ ფაქტს, რომ იგივე ლექციაზე ხდება Sarbanes-Oxsley Act-ის განხილვა და ეს ლექცია გრძელდება სულ ორი საათი, შეუძლებელია ამ ლექციის შემდეგ სტუდენტმა ამ ლექციის შემდეგ შინაარსობრივად განმარტოს და გამიჯნოს ერთმანეთისგან კორპორაციული მართვის მოდელები და ასევე გამოკვეთოს მათი პრობლემები.

შედარებით შრომის სამართალის სილაბუსში აღნიშნულია: "სტუდენტს აქვს შედარებით შრომის სამართალში ღრმა და სისტემური ცოდნა, ფლობს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სისტემის ძირითად ინსტიტუტებს, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, წარმოდგენა აქვს სამართლის ამ დარგის განვითარების ტენდენციებზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე". აქ ალბათ სამი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პირველი თუ ღრმა და სისტემური ცოდნა აქვს, რატომ აქვს

მხოლოდ წარმოდგენა ამ დარგის განვითარების ტენდენციებზე?! პირიქით ძალიან კარგად უნდა იცოდეს რა მიმართულებით მიდის ეს დარგი. მეორე, თუ აქვს მხოლოდ წარმოდგენა განვითარების ტენდენციებზე, ე.ი. ღრმა და სისტემური ცოდნაც არ ჰქონია. მესამე, სამაგისტრო სასწავლო კურსის მიზანი უნდა იყოს უფრო მეტი ვიდრე სტუდენტისთვის წარმოდგენის მიცემა, სხვა შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ამ საგნის სილაბუსის შედეგებში აღნიშნული შემდეგი საკითხის განხორციელებას: "შედარებით შრომის სამართლებრივ ურთიერთიობებში არსებულ პრობლემებზე წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხო ენებზე დისკუსიის წარმართვის, აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი სამართლებრივი დასკვნის" გადმოცემა; და ვერც დამოუკიდებლად ვერ გაანალიზებს "უახლესი თეორიული, ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის მონაცემებს". იგივე სილაბუსში სასწავლო კურსის მიზნად აღნიშნულია, რომ "ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში შედარებითი შრომის სამართლის შესწავლა და მისი შემეცნება ხდება იმ ფონზე, როცა სახელმწიფოებრივი წარმოების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან, რომლის მიზანია საკუთრების განსახელმწიფოებრივობის ანუ პრივატიზაციის ბაზაზე წარმოების აღორძინება და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა". სახელმწიფო ქონების პრივატიზების აქტიური ფაზა დიდი ხნის წინ დასრულდა და საქართველო საბაზრო ურთიერთობაზე გადავიდა. შესაბამისად, ამ კურსმა სხვა საკითხებზე უნდა მოახდინოს აქცენტი და დასახელებული მიზანი შეიძლება სასწავლოს კურსის ერთ-ერთ საკითხად ჩამოყალიბდეს.

იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე "შედარებითი მუნიციპალური სამართალი". სასწავლო კურსის ერთ-ერთი მიზანია "საქალაქო თვითმმართველობის მოდელების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ქართული სინამდვილისათვის კონსტრუქციული წინადადებების შემუშავება". მაგრამ საკუთრივ სილაბუსში აღნიშნული მიზნის შესრულებისთვის გამოყოფილია მე-15 ლექციის 2 საათი შემდეგი ფორმულირებით: "ადგილობრივი თვითმმართველობა საზღვარგარეთის ქვეყნების დედაქალაქებში (ლონდონი, მეხიკო, პარიზი, ბუდაპეშტი, კიევი)". კარგია დასახელებული ქალაქების თვითმმართველობის მოდელების შესწავლა, მაგრამ შეუძლებელია ამ ძალიან დიდი ქალაქების მოდელების 2 საათში ისე შესწავლა, რომ სტუდენტმა შეძლოს ამ ცოდნის საფუძველზე ქართული სინამდვილისთვის კონსტრუქციული წინადადებების შემუშავება.

იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე "საერთაშორისო ბიზნეს სამართალი". სასწავლო კურსის მიზნად მითითებულია, რომ "მაგისტრანტს <u>ღრმად და სისტემურად</u> შეასწავლოს საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი გარემო; საერთაშორისო ვაჭრობა **(თეორია და პრაქტიკა);** მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება; ტურისტული ბიზნესის მნიშვნელობა და განვითარების თანამედროვე ტენდენციები; ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი რეგულირება და ინტელექტუალური საკუთრების ბიზნესი და მისი სამართლებრივი რეგულირება; კერძო სამართლის სუბიექტების მიერ განხორციელებული საერთაშორისო საგარეო-ეკონომიკური გარიგებები; საგარეო ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა მისი საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება…" აღნიშნულის მიღწევა ერთი საგნის ფარგლებში შეუძლებელია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თითოეულ დასახელებულ საკითხზე გამოყოფილია ორი საათი.

ანალოგიური შეიძლება განვაზოგადოთ სხვა საგნებთან დაკავშირებითაც (თუმცა არა ყველა საგანთან დაკავშირებით).

აღსანიშნავია, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები იდენტურია სასწავლო საგანთა მნიშვნელოვან რაოდენობაში, განსაკუთრებით, ერთი და იგივე დარგის ფარგლებში, თუმცა არ არის მკაფიო ამა თუ იმ მეთოდის შერჩევის მიზანშეწონილობა საგნის თავისებურებებთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

აუცილებელია პროგრამის ყველა კომპონენტის პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან თანხვედრაში ყოფნა.

ასევე, გამართლებულია, ცალკეულად პროგრამისათვის და ზოგადად, დაწესებულებისათვის დადგენილ იქნეს კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისა და მინიჭების ზუსტი, მკაფიო წესი.

ამასთანავე, აღნიშნულთან კავშირშია სასწავლო საგნებისათვის ადეკვატური ხანგრძლივობის დროის განსაზღვრის აუცილებლობა შინაარსობრივი მახასიათებელების შესაბამისად, იმისთვის, რომ მიღწეული იქნეს სწავლის შედეგები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღნიშნული სტანდარტი ფორმალური თვალსაზრისით არის დაკმაყოფილებული (მაგალითად, ტექნიკური მხარე შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან, კერძოდ, პროგრამა არის 120 კრედიტიანი), მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით არ არის დაკმაყოფილებული. კერძოდ, არ არის დაკმაყოფილებული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემდეგი კომპეტენციები:

“ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს” - აღნიშნულ დასკვნაში განხილული სასწავლო კურსები არ იძლევიან ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემის საშუალებას.

“ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით” - პროგრამა არ იძლევა საშუალებას უახლესი მეთოდების გამოყენებით განხორციელდეს კვლევა.

“გ) დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი” - უახლესი კვლევების ჩამონათვალი სასწავლო კურსების მხოლოდ მცირე ნაწილში გვხვდება.

“დ) კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით” - აკადემიური პატიოსნების სტანდარტის დაცვის მექანიზმი პრაქტიკულად არ ხორციელდება.

ამდენად, სამართლის დარგობრივ მახასიათებელთან საგანმანათლებლო პროგრამა დიდწილად შეუსაბამოა.

ზემოთ განხილული საგნების და სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ არის მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

აუცილებელია საკვალიფიკაციო ჩარჩოს კომპეტენციებისრეალური იმპლემენტაცია და პროგრამის შესაბამისობის მიღწევა სამართლის დარგობრივ მახასიათებელთან.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, აუცილებელია კონფლიქტის რეგულირებაზე ორიენტირებული საგნების დამატება (მაგალითად, მედიაცია, მოლაპარაკებების წარმართვა), ასევე, ამ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო ცენტრის შექმნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღნიშნული კომპონენტი უნდა დავყოთ ორ ნაწილად: პირველი უზრუნველყოფს თუ არა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე და მეორე, უზრუნველყოფს თუ არა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა დამსაქმებელთან გაფორმებული მემორანდუმი და აქვს პრაქტიკული კლინიკებიც. თუმცა საკუთრივ სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ამ კურსების გავლის შედეგად მიღებული ცოდნა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს შედარებითი მუნიციპალური სამართლის სილაბუსში მითითებული შემდეგი ლიტერატურა:

“სავალდებულო:

1. ო. მელაქაძე - ქართული მუნიციპალიზმი (ნაწილი მეორე) ახალ პროექციაში. თბ 2015
2. ა.ზენაიშვილი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარები. გამომც. ,,იურისტების სამყარო"თბ 2015
3. ო. მელქაძე - მუნიციპალური სამართალი (ძირითადი სამართლებრივი აქტების ჯკრებული) თბ 2013
4. ო.მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუციპალური სამართლი, თბილისი 2002წ
5. ალექსანდრე სვანიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსის კონსტიტუციური რეგულირება, თბილისი 2009წ
6. დავით ზარდიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსის კონსტიტუციური რეგულირება, თბილისი 2009წ

დამატებითი ლიტერატურა:

1. პ.რეკვავა, რ.კუსიანი, ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების ფორმები საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში, თბილისი 2002წ
2. ზ,ადეიშვილი, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია და კომპეტენციების გამიჯვნა დასავლეთის ხუთი განვითარებული ქვეყნის მაგალითზე, სტრატეგული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 1996 წ
3. Черкасов А. И. Структура и форма деятельности местных органов\\сравнительное конституционное право, РАН, Москва, 1996
4. George Rust-D'Eye, Ophir Bar-Moshe, Andrew James, Ontario Municipal law: A User's Manual, 2012, carswel publisher, Toronto "

საკმაოდ რთულია განვსაზღვროთ თუ რამდენად შეძლებს სტუდენტი დასახელებულ წიგნებზე დაყრდნობით მიიღოს ცოდნა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცაა: სახელმწიფო კონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობაზე: საფრანგეთი, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები; ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია მსოფლიოს დიდი რვიანის ქვეყნებში (იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი).

დასახელებულმა სახელმძღვანელოებმა შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შეძლოს ამ მიზნის შესრულება, მაგრამ იმისთვის, რომ სრულად შესრულდეს ეს მიზანი აუცილებელია ლიტერატურის გამდიდრება. შესაბამისად, იმისთვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს კონკურენტუნარიანი ცოდნა აუცილებელია თანამედროვე და უახლესი ლიტერატურით საკითხების განხილვა.

რაც შეეხება განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება, რომლის ძირითადი მიზანი კვლევითი საქმიანობაა), დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება დაკავშირებულია კვლევითი პოტენციალის ზრდასთან, შესაბამისად აუცილებელია მაგისტრატურაზე შესაბამისი კვლევითი საფუძვლის მომზადება, ხოლოდ დოქტორანტურაზე მისი უფრო დახვეწა და გაღრმავება. რადგან სამაგისტრო ნაშრომების დაცვისას, ვერ მოწმდება მისი ავთენტურობა (უნივერსიტეტს არა აქვს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა), ეს შეუძლებელს ხდის მაგისტრატურის სტუდენტის მომზადებას განათლების შემდგომი საფეხურისთვის (ე.ი. დოქტორანტურისთვის სადაც კვლევის უფრო მაღალი დონე მოითხოვება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასება
- სასწავლო კურსების სილაბუსები

- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- აუცილებელია კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, რასაც ცხადყოფს სამაგისტრო ნაშრომების რევიზია
- აუცილებელია კონკურენტუნარიანი ცოდნის მიცემა სტუდენტებისთვის, რაც ადეკვატური უნდა იყოს დარგისა და პროფესიის თანამედროვე განვითარებისა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაინტერესებული მხარეები იღებენ მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში. იგივე დაადასტურეს სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმაც. თუმცა ინტერვიუს პროცესში დამსაქმებლების მხრიდან აღინიშნა, რომ უშუალოდ პროგამის შემუშავებაში არ იყვნენ ჩართული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიცუსდ-
მუნდაგაითვალისწინოსიმისათვისრომპროგრამამდააკმაყოფილოსსტანდარტისმოთხოვნები

- აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარე თანაბრად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავებისა და პროგრამის განვითარების პროცესში პროცესში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წინაპირობები მარტივად ხელმისაწვდომი არ არის დაინტერესებული პირისთვის. ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, სამაგისტრო პროგრამის ნაწილში არ არის განთავსებული. სამაგისტრო პროგრამა ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის ვებ- გვერდიდან. ასევე, პროგრამაში მითითებულია, რომ საიტზე განთავსებულია სავარაუდო ტესტები, მაგრამ ეს უკანასკნელი ვიზიტის განმავლობაში არ იძებნება. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ვებ-გვერდის სრულყოფა, არსებობს ორი ვერსია და ძველ ვერსიაზე ადვილად ხელმისაწვდომია პროგრამაც და მასზე მიღების წინაპირობებიც. ○ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების ან სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია, უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული B2 დონე) და სპეციალობაში გამოცდების ჩაბარება. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომენტისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არ მოიპოვება არც უცხო ენების ტესტების ნიმუშები და არც სპეციალობის გამოცდასთან დაკავშირებული დეტალები. აღნიშნული დაინტერესებულ პირს ხელს უშლის მოიპოვოს სრული ინფორმაცია იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაში მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი ○ უსდ-ის ვებ-გვერდი ○ უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისსაგანმანათლებლოპროგრამისაკრედიტაციის თვითშეფასებისანგარიში ○ გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები: იურიდიულმა ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მკაფიოდ და დაინტერესებული პირებისათვის გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები;

უმჯობესი იქნება, თუ ფაკულტეტი ვებ-გვერდზე დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს მისაღები გამოცდებისთვის განსაზღვრული საკითხების ნიმუშებს;

უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს უცხო ენაზე, უნდა განსაზღვროს ზუსტად უცხო ენის B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმომავლობის და ავთენტურობის კრიტერიუმები, მაგ, ათავისუფლებს თუ არა პირს უცხო ენის გამოცდისაგან რომელიმე საერთაშორისო სერტიფიკატის წარდგენის შემთხვევაში (IELTS, TOEFL, FCE, TOLES, ILEC).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მაგრამ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სილაბუსებში არის განსაზღვრული სწავლების მეთოდები, რომელთა ნაწილის გამოყენებაც რეალურად არ ხდება სწავლების პროცესში, ასევე ხაზგასასმელია, რომ უმეტესობა სილაბუსებში ერთი და იგივე სწავლების მეთოდებია მითითებული, რაც მიუთითებს იმას, რომ სილაბუსების ამ ნაწილის დამუშავება ლექტორების მიერ არ მომხდარა, ან სპონტანურად მოხდა სწავლების მეთოდების ასახვა სილაბუსებში, მიუხედავად იმისა იყენებენ თუ არა ისინი სილაბუსში მითითებულ კონკრეტულ მეთოდს სწავლების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

ხარისხის სამსახურმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სილაბუსების გადამოწმება და საგნების სპეციფიკიდან და მოწვეული თუ აკადემიური პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით სილაბუსებში განსაზღვრონ მხოლოდ ის სწავლების მეთოდები, რომელთა ერთობლიობა რეალურად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მათი გამოყენება ხდება სწავლების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამაგისტრო პროგრამიდან ირკვევა, რომ მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომს გააჩნია წინაპირობები. უნდა აღინიშნოს, რომ კომპონენტები გადანაწილებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად.

  სამაგისტრო პროგრამიდან ჩანს, რომ აღნიშნულ საფეხურზე საერთოდ არ ისწავლება უცხო ენა. სტუდენტი, რომელიც მოხვდება აღნიშნულ პროგრამაზე, უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) უნდა ფლობდეს B2 დონეზე. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების შესწავლა უმეტესწილად ხდება მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურის გამოყენებით,

ამის მიზეზად აკადემიურმა პერსონალმა დაასახელა სტუდენტების მხრიდან უცხო ენის შესაბამისი ცოდნის არქონა, იგივე გაიმეორა სტუდენტთა ნაწილმა. როდესაც საუბარია სამაგისტრო პროგრამაზე, სადაც უმეტესობა საგნებისა შედარებით ანალიზს მოითხოვს და ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლას, ასევე საყურადღებოა კვალიფიკაციათა ჩარჩოში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლების შედეგებთან დაკავშირებული ჩანაწერი, კერძოდ კომუნიკაციის უნარში მითითებულია, რომ ,,თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;“ აღნიშნული მიუთითებს, რომ უცხო ენისა და უცხოური ლიტერატურის გარეშე რთული იქნება სილაბუსით მიზნების მიღწევა და შესაბამის შედეგებზე გასვლა,

- ასევე პროგრამით განსაზღვრული არჩევითი სასწავლო კურსი ,,კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში“, მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების გააზრებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო მეტად თანხვედრაშია საბაკალავრო პროგრამასთან.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა არჩევითი კურსისთვის 6 კრედიტის მინიჭება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად, რადგან ნაწილი კურსებისა არის მოცულობითი და მის ათვისებას უფრო მეტი დრო სჭირდება სტუდენტის მხრიდან, ვიდრე იმ საგნების ათვისებას, რომელთა მოცულობაც ბევრად ნაკლებია. მაგ: LAW M202 ,,შედარებითიკერძოსამართალი,“ რომელიც მისი შინაარსიდან გამომდინარე ბევრად მოცულობითია, ვიდრე LAW M218 ,,დანაშაულისგახსნისმეთოდიკა“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს უცხო ენების კომპონენტი სასწავლო კურსების სახით, რომელიც მიმართული იქნება დარგობრივი ტერმინოლოგიის დახვეწაზე, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას გაეცნოს უცხოენოვან ლიტერატურას და ადვილად მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს.

საგანი ,,კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში“ შეიძლება გადატანილ იქნას საბაკალავრო პროგრამაში.

ფაკულტეტმა გადახედოს საგნებისთვის მინიჭებულ კრედიტებს და მოახდინოს მათი დახარისხება მოცულობიდან და სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან × **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ხდება სტუდენტის მიღწევათა შეფასება ანუ იმის გარკვევა, რა იცის, რას აცნობიერებს და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს. შეფასებისათვის გამოიყენება პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებისათვის ადაპტირებული მეთოდები და ფორმები, რომელიც რეალურად ასახავს სწავლის შედეგების მიღწევასა და დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში შეფასებების ნაწილი დეტალურად განსაზღვრული არ არის და მითითებულია მხოლოდ მაქსიმალური ზღვარი და ქულათა გადანაწილება, მაგრამ არ არის საუბარი, თუ რა საკითხებზე მოუწევთ სტუდენტებს მუშაობა. მაგ: ,,კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში“ საგნის სილაბუსში მითითებულია, რომ დასკვნითი შეფასება არის 40 ქულა, მაგრამ ამავე სილაბუსში არ არის განსაზღვრული რა სახის აქტივობების განხორციელება მოუწევთ სტუდენტებს ამ ქულის მისაღებად. სილაბუსის გაცნობის შემთხვევაში შეუძლებელია გაირკვეს თუ რა ფასდება 40 ქულით, ფინალური გამოცდა მოიცავს მხოლოდ დახურულ კითხვებს, ღია კითხვებს, ესსეს თუ სხვა დავალებას. ეს გარემოება აჩენს ეჭვს, რომ საგამოცდო საკითხები არ იყოს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან. იგივე შეიძლება ითქვას კურსზე: LAW M 202 შედარებითი კერძო სამართალი. ○ სილაბუსების უმეტესობაში შეფასების მეთოდები მოიცავს უმეტესწილად ერთ აქტივობას, არის შემთხვევები, სადაც გვხვდება მხოლოდ ტესტური დავალებები (დახურული ტესტი), 20 ტესტისთვის გამოყოფილია 3 საათი, რაც მაგისტრატურის საფეხურზე არ შეიძლება გახდეს სტუდენტის რეალური შეფასების საფუძველი, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი სილაბუსი: LAW M217 ევროპული სისხლის სამართალი და LAW M223 კონსტიტუციური მართლმსაჯულება და სასამართლო პრაქტიკა. ორივე სილაბუსში ფინალური შეფასება მოიცავს მხოლოდ 20 ტესტს სავარაუდო პასუხებით, გამოცდისთვის გამოყოფილი დრო კი შეადგენს 3 საათს.

- სილაბუსების უმეტესობაში როგორც შუალედური, ისე ფინალური გამოცდის შეფასებისთვის გამოყენებულია მხოლოდ ერთი სახის დავალება (ტესტი, თეორიული საკითხი და ა.შ.), რაც ბუნებრივია ვერ შეიძლება გახდეს ადექვატური შეფასების ინდიკატორი, მაგალითად კურსი LAW M 225 ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრობლემები, სადაც როგორც შუალედური, ისე ფინალური გამოცდა ფასდება მხოლოდ ერთი სახის დავალებით, სილაბუსში არ არის დაკონკრეტებული რა საკითხია, კითხვის სახით არის მიწოდებული სტუდენტისთვის თუ თემის სახით. იგივე შემთხვევას ვაწყდებით LAW M 229 ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტებში, სადაც მხოლოდ ერთი სახის აქტივობის შეფასებას ითვალისწინებს სილაბუსი.
- სილაბუსების უმეტესებაში გამოყენებულია ერთი და იგივე, უნიფიცირებული შეფასების მეთოდები, ქულათა ერთანარი გადანაწილებადა არ არის განსაზღვრული რა აქტივობები ფასდება კონქრეტული ქულით, რაც მიუთითებს იმას, რომ სტუდენტმა წინასწარ არ იცის თუ რა დავალებების შესრულება მოუწევთ მათ კონკრეტული ქულის მოსაპოვებლად. ეს გარემოება მიუთითებს, ზემოაღნიშნულიდან გამ ომდინარე, ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეფასების ნაწილი არ არის მომზადებული კურსის ხელმძღვანელთა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლა
- საგამოცდოს საკითხის ნიმუში

რეკომენდაციები:

ყველა პრობლემატურ სილაბუსში უნდა განისაზღვროს დეტალურად, თუ რა აქტივობებს გეგმავს კურსის ხელმძღვანელი თითოეულ ეტაპზე სტუდენტის მიერ კონკრეტული შეფასების მოსაპოვებლად (დახურული კითხვა, ღია კითხვა, ესსე თუ სხვა აქტივობა).

სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს კურსის ხელმძღვანელის მიერ ის შეფასების მეთოდები, რომელთა გამოყენებაც ლექტორის მოსაზრებით ოპტიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასებას.

უმჯობესი იქნება შუალედური და ფინალური შეფასებები მოიცავდეს რამოდენიმე კომპონენტს (ესსე, ღია კითხვა, დახურული კითხვა, კაზუსი), რაც ლექტორს შესაძლებლობას მისცემს რეალურად შეაფასოს სტუდენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შეფასების მეთოდები დეტალურად ჩაშლილი არ არის, მითითებულია, რომ ფასდება კონკრეტული აქტივობა განსაზღვრული ქულით, მაგრამ არ არის ჩაშლილად წარმოდგენილი. აღნიშნული პრობლემა სტუდენტს არ აძლევს შესაძლებლობას წინასწარ იცოდეს მისი კონკრეტულ აქტივობაში მონაწილეობის შეფასების თავისებურებანი. მაგ: კონსტიტუციური მართლმსაჯულება სასამართლო პრაქტიკის სილაბუსში საუბარია, რომ ყოველკვირეული შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი არის წერითი აქტივობა, მაგრამ დეტალურად არ არის წარმოდგენილი თუ რა წერით დავალებაზეა საუბარი, ასევე არ არის წარმოდგენილი წერითი აქტივობის შესაფასებლად ქულათა ჩაშლილი ვარიანტი, იგივე ვითარებაა კურსში - LAW M221 ,,ნარკოტიკული დანაშაული".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლა
- საგამოცდოს საკითხის ნიმუში

რეკომენდაციები:

ყველა სილაბუსში დეტალურად უნდა მოხდეს შეფასების მეთოდების ჩაშლა, სტუდენტმა ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ შეიძლება მოხდეს მისი შეფასება.

უნდა მოხდეს სილაბუსებში დეტალურად გაწერა იმ აქტივობებისა, რომელთა მიხედვით მოხდება სტუდენტის შეფასება, რაც ყველაზე მთავარია შუალედური და ფინალური გამოცდის საკითხები უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და რეალურად უნდა იყოს შესაძლებელი, აღნიშნული შეფასებებით დადგინდეს, რამდენად მოხდა მიზნის მიღწევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ც

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **× ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სასწავლო პროცესის რეგულირების წესი და პირობები შიდა სამართლებრივი აქტებით მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია რომ სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის თაობაზე დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი და მიწოდებული. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. უნივერსიტეტმა მხედველობაში მიიღო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მოთხოვნები, ვინაიდან მაგისტრანტების უმრავლესობა დასაქმებულია, ლექციების ჩატარების დრო, მოარგეს მათ დღის წესრიგს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულების შესახებ განსაზღვრულია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველჰყოფს სტუდენტების პირადი საქმის წარმოებას, სადაც წარმოდგენილია მათი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, ხელნაწერი დღიურების სახით. უნივერსიტეტს არ გააჩნია შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, ისევე როგორც ლექტორებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და მოხდება სასწავლო პროცესის ელექტრონული ფორმით წარმოება. ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ გამოკითხულ სტუდენტთა შეფასებით გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, პროფილის განსაზღვრაში.სტუდენტებს მიაჩნიათ რომ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნები მისაღები და პრაქტიკულია მათი პროფესიული განვითარებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს სილაბუსები, სადაც იკვეთება დუბლირება/ ურთიერთგადაკვეთა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებულ საგნებს შორის. ასევე არის შემთხვევები, როდესაც წარმოდგენილ არჩევით საგნებს("სასჯელის მოძღვრება"; "მოძღვრება დანაშაულზე") არაპრაქტიკული დანიშნულება აქვთ და არ მოიცავენ სრულად საკითხის კომპლექსურად შესწავლას, ისე როგორც ამას სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრული სტანდარტი გულისხმობს. ასევე, სამაგისტრო პროგრამისთვის გათვალისწინებულ სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის სიმწირე, უზღუდავს სტუდენტს შესაძლებლობას სიღრმისეულად მოახდინოს საგნის შესწავლა, მისთვის საინტერესო საკითხის(ების) გარშემო. კერძოდ, საგნებში: "ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები" და "ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრობლემები", წარმოდგენილი სილაბუსების თანახმად, პირველ შემთხვევაში, უცხოენოვანი ლიტერატურა საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში უცხოენოვანი ლიტერატურის ნაწილი, ძირითადად მოიცავს რუსულენოვან ლიტერატურას. ასევე,

სილაბუსში არ არის წარმოდგენილი უახლესი ქართული, ამ კურსის მიზნებისათვის განკუთვნილი შესაბამისი ლიტერატურა, მაგალითად, როგორიცაა:

- "საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2014, მთაგრმნელები: ი. ხარშილაძე, ნ. ოვსიანკოვა;

- პაატა ტურავა., ნათია წლეპლაძე., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010 და 2013 წლის გამოცემები;

უნივერსიტეტს აქვს კრიმინალისტიკის ლაბორატორია. სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს კრიმინალისტიკის სასწავლო კურსის გავლა აღნიშნულ ლაბორატორიაში შეუძლიათ. კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს კრიმინალისტიკის დარგში მათი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები შეზღუდულია. სამართლის ფაკულტეტის მაგისტრანტებისთვის არ არსებობს სპეციალური სამუშაო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით.

უნივერსიტეტს აქვს ერთი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია იურიდიული ლიტერატურა, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სილაბუსებით გათვალისწინებული, ძირითადად წარმოდგენილია ქართულენოვანი ლიტერატურა. აღინიშნება უცხოენოვანი ლიტერატურის სიმწირე. ბიბლიოთეკაში მხოლოდ 2 კომპიუტერია. უნივერსიტეტს არ გააჩნია, სპეციალურ ონლაინ საბიბლოთეკო ბაზებზე, მაგალითად, როგორიცაა Lexisnexis, Heionline და სხვ. წვდომა. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი არ მუშაობს გამართულად. ბიბლიოთეკაში წიგნებთან პირდაპირი ფორმით შემხებლობა სტუდენტებისთვის შეზღუდულია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. სტუდენტებს ეკრძალებათ ბიბლიოთეკის იმ ნაწილში დამოუკიდებლად შესვლა და სასურველი ლიტერატურის მოძიება, სადაც წიგნებია განლაგებული.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოწმდა სპეციალურ ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ საბიბლიოთეკო სივრცეში არ გამოიკვეთა მსგავსს რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველჰყოფა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა კომპიუტერებს აქვთ შეზღუდული წვდომა "Thomson Reuters"-ის საერთაშორისო რანჟირების სისტემაზე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც განსაზღვრულია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის უფლების ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამის ელექტრონულ ბაზაში ატვირთული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა, სადაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული მასალებია თავმოყრილი, ძირითადად წარმოდგენილია, ქართულენოვანი იურიდიული ლიტერატურა.

უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოხდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი ნაშრომების შემოწმება.

უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სამაგისტრო თემების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა პლაგიატის ნიშნები. მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა

შეიმუშავოს შესაბამისი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის შემთხვევები. საგანი, აკადემიური წერა იურისტებისათვის შეთავაზებულია პროგრამის დასაწყისში. შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, აკადემიური წერის შესწავლა ფილოლოგის ხელმძღვანელობით ხორციელდება, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ, იურიდიული სპეციალიზაციის მიმართულებით. მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ მაგისტრანტები სრულფასოვნად არ ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია პროგრამაში მოცემული სასწავლო კომპონენტებით. შესაბამისად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ არსებული პროგრამა, სასწავლო კომპონენტის ნაწილში, საკმარისად არ არის სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისი. შესრულებული ნაშრომების, ასევე, კოლოქვიუმების ნიმუშების გაცნობისას, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით იკვეთება, აკადემიური ციტირების, წყაროთა დამოწმებისა და კვლევის სტანდარტის დარღვევის ფაქტები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი კოლოქვიუმების ნიმუშები არ შეესაბამება სამაგისტრო პროგრამისთვის დადგენილ სტანდარტს. მარტივი ტესტირების ფორმით ჩატარებული კოლოქვიუმი არ იძლევა სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრული ცოდნის მიღების შესაძლებლობას. სტუდენტები, მათი სურვილისამებრ ირჩევენ სამაგისტრო თემას და ამუშავებენ მას შესაბამისი პროფილის პროფესორების ხელმძღვანელობით. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა თემის ხელმძღვანელებთან ინდივიდუალური მუშაობის ხელმისაწვდომობა. თემის ხელმღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ არ აქვთ რაიმე სახის დაბრკოლება სტუდენტებთან სამაგისტრო თემებზე მუშაობისას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომებში შეიმჩნევა რიგი ხარვეზები, როგორც ტექნიკური ისე შინაარსობრივი სახის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის SWOT ანალიზი; -თვითშეფასების ანგარიში; -შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები; -სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები; -იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრმა; -სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; -დატვირთვის ცხრილი; -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების ინსტრუქცია;

-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტთა სამაგისტრო ნაშრომები;

-პროფესიული პრაქტიკის დღიურები;

-იურიდიული კლინიკის დებულება;

-იურიდიული კლინიკის სილაბუსები;

-შეთანხმება "Thomson Reuters"-ის საერთაშორისო რანჟირების სისტემის ხელმისაწვდომობაზე;

- სახელმჭიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #235(ხელშეკრულება სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან");

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 3 ნოემბრის სხომის #6 ოქმიდან ამონაწერი;

-აკრედიტაციის ექპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტებთან და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან;

- ექსპერტთავიზიტისდროსმატერიალურ-ტექნიკურიბაზისდათვალიერება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია დაიხვეწოს/შეივსოს ბიბლიოთეკა(როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახით) მაგისტრანტებს აუცილებელია, წვდომა ჰქონდეთ აქტუალურ, თანამედროვე, სალიტერატურო წყაროებზე, ახალ გამოცემებზე, რომელთა გაცნობითა და შესწავლით ისინი სიღრმისეულად შეისწავლიან დისციპლინებს და შეძლებენ სამაგისტრო თემების სრულყოფილად დამუშავებას;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისთვის, აუცილებელია სამართლის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის ქონა, განსაკუთრებით სამაგისტრო ნაშრომთა სრულყოფისთვის, სპეციალური ბაზებზე მაგალითად, როგორიცაა: "Lexisnexis", "Heinonline","Beckonline", "Westlaw"და სხვ. ასევე, უკვე არსებულ "Thomson Reuters"-ზე, უნივერისტეტმა, სტუდენტისთვის უზრუნველჰყოს სრული წვდომა;
- ელექტრონული კატალოგი უნდა იყოს მოქნილი, ყველა წიგნი იქნეს შეტანილი და მარტივად მოხდეს სტუდენტის მიერ წიგნის მოძიება;
- უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს შემუშავებული პლაგიატის საწინააღმდეგოდ შესაბამისი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება;

- აუცილებელია, გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პრინციპი და მნიშვნელობა. რიგ შემთხვევებში ვერ იკვეთება ურთიერთკავშირი სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის;
- საგანი: "საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება"- სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ვებგვერდი. უნდა იყოს მითითება კონკრეტულ წყაროზე, შესაბამისი ლინკით;
- მნიშვნელოვანია, სამაგისტრო თემების დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მიდგომების შემუშავება, უცხოენოვანი ლიტერატურის ინდექსის განსაზრვრა, ტეექნიკურად თემის შესაბამისობაში მოყვანა და პლაგიატის აღმოსაფხვრელად უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ინსტრუქციის განსაზღვრა.
- მნიშვნელოვანია, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ სტუდენტი პრაქტიკულად, და არა მხოლოდ თეორიულად, ფლობდეს ყველა იმ უნარ-ჩვევას რასაც სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტი ითვალისწინებს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აუცილებელია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სილაბუსის გაცნობის კომპონენტი გათვალისწინებული/გაწერილი იყოს სილაბუსებში;

- სასურველია სტუდენტებს, ბიბლიოთეკაში, წიგნებთან პირდაპირი ფორმით ხელშემხებლობის საშუალება ქონდეთ და სამართლის ლიტერატურის სექცია ცალკე იყოს გამოყოფილი;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის კომპონენტში, გამოკვეთილია აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა. შესაძლებელია დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, თემის ხელმძღვანელებთან, ინდივიდუალური შეხვედრები, კონსულტაციები: სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სოციალურ ქსელში- ე.წ. ჯგუფების შექმნა და დისკუსია, რომელიც უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები -დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა; -დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსები; -თვითშეფასების ანგარიში; -შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები; - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები; -იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა; -პერსონალის დატვირთვის ცხრილი; -აკრედიტაციის ექპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტებთან და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

აკრედიტაციის ექპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუირების ფარგლებში, უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტებთან და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან, გარდა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის კომუნიკაციის უზნუნველყოფისა, გამოიკვეთა ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება. აღსანიშნავია, კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც მნიშნელოვანი პოზიტიური მოვლენაა, რომელიც შემდგომ, დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა - ,,ჩემი ადვოკატი“, სადაც მაგისტრანტები პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ, ძირითადად იურიდიული კონსულტაციის მიმართულებით. აქვთ წარმატებით დასრულებული თუ მიმდინარე სასამართლო პროცესები, სადაც თავიანთ კლიენტებს უწევენ იურიდიულ დახმარებას.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკულ ნაწილის განხორციელებაში ჩართულია ბევრი პრაქტიკოსი იურისტი;

დასაქმების უზრუნველყოფა დადებითად არის შეფასებული, როგორც ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის და დამსაქმებელთა, ასევე სტუდენტების მხრიდან. უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანამშრომლობის მემორანდუმი პარტნიორ დაწესებულებებთან. ხორციელდება სტაჟირების პროგრამა, სხვადასხვა საჯარო დაწსებულებებში. მაგისტრატურის სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია თავისი პროფესიით. სტაჟირებისა და დასაქმების მიმართულებით აქტიურად ხორციელდება თანამშრომლობა აფხაზეთის უზენაესს საბჭოსთან, აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან(სისხლის სამართლის საქმეებზე); სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოსთან, კლინიკა - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე; ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, სანოტარო ბიუროსთან, ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი საგარეო დაზვერვის სამსახურთან (ანალიტიკური მიმართულებით).

თანამშრომლობის შედეგად, იურიდიული კლინიკის ფარგლებში, დაინტერესებულმა კურსდამთავრებულებულმა წარმატებით გააგრძელეს საქმიანობა სტაჟირების შემდგომ იმავე უწყებებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის განცხადებით (პოტენციური დამსაქმებელი), ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სტაჟირების შემდგომ, წარმატებულ სტუდენტებს აქვთ დასაქმების რეალური შესაძლებლობა, მოხელის სერტიფიკატების მოპოვება ხდება სწავლების ცენტრში და მისი მოპოვების შემთხვევაში, ხდება სტუდენტების დასაქმება. კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა საარჩევნო კომისიიდან, არის დიდი, მთავარია, სტუდენტების ინტერესს წარმოადგენდეს ამ მიმართულებით დასაქმება.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ინტერვიუზე წარმოდგენილ კერძო დამსაქმებელთან თანამშრომლობის შედეგები ამ ეტაპზე არ იკვეთება, მათ რეალურად უნივერსიტეტის მაგისტრანტების/მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმება არ განუხორციელებიათ.

აღსანიშნავია, სამართლის სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი საგნების სიმრავლე და პრაქტიკული ნაწილის(იურიდიული კლინიკის) არჩევანის შესაძლებლობა, რათა სტუდენტებმა, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით მოახდინონ მიმართულების განსაზღვრა და ფორმირება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების და მათი მოპოვების შესახებ, მაგრამ, შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში ხშირად ვერ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების სახით.

სტუდენტები ძირითადად მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მათ შორის არის სოხუმის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტმა გამოსცა სამეცნიერო ჟურნალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორენდუმები საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;

-დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტი;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 3 ნოემბრის სხდომის№6 ოქმიდან ამონაწერი;

-დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა;

-დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსები;

-თვითშეფასების ანგარიში;

-შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები;

- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;

-იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრმა;

-დატვირთვის ცხრილი;

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენცია სამართლის აქტუალურ საკითხები - წარდმოდგენილი კონფერენციის ბუკლეტი სამ ენაზე;

-აკრედიტაციის ექპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტებთან და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკა. დაიდოს კერძო დამსაქმებლებთან შეთანხმებები, რომლის ფარგლებში დამსაქმებლები დააფიქსირებენ კონკრეტულ მოთხოვნებს, გამოხატავენ ინტერესს კონკრეტულ სფეროში შესაბამისს სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ საჭირო კადრების შესახებ რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც შეძლებენ კურსდამტავრებულთა დასაქმებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების და მათი მოპოვების შესახებ, მაგრამ, შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში ხშირად ვერ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების სახით. მნიშნვნელოვანია ამ მიმართულებაზე უნივერსიტეტმა უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება და გამოყოს ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრები სტუდენტების კვლევითი

საქმიანობის დაფინანსების მიზნით. მნიშვნელოვანია თავად უნივერსიტეტის დაფინანსებით ან თანადაფინანსებით განხორციელდეს მსგავსი აქტივობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოხუმის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებებიუნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს, შესაბამისად გაიზარდოს სახელმწიფო დაფინანსება. არსებული რესურსების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ცდილობს გაცვლით სასწავლო პროგრამებში,კონფერენციებსა და საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში წარჩინებულ მაგისტრანტთა ჩართვას.თუმცა, არსებული მონაცემებით, იმისათვის, რომ პროგრამით გათვალისწინებული მიზნები მიღწეულად ჩაითვალოს სტანდარტის აღნიშნული კომპონენტისთვის, ეს არ არის საკმარისი. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ჰააგისიმიტირებულპროცესში(კონფლიქტებისრეგულირება). აღნიშნული ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოები ისევე როგორც ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა უნივერსიტეტის მხარდაჭერით. უნივერსიტეტი ჩართულია ერასმუსის საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამაში. მაგრამ ერასმუსის გაცვლითი პროგრამით სამართლის სკოლის სტუდენტებს არ უსარგებლიათ. უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან (უკრაინა, ისრაელი, ლიტვა). რომლებიც სტუდენტების სასწავლო გაცვლით პროექტებში მონაწილეობას ისახავს მიზნად, თუმცა რეალურად აღნიშნული რესრსით უნივერსიტეტის სტუდენტებს ჯერ არ უსარგებლიათ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, უნივერსიტეტში ეწყობა უცხოენოვანი საჯარო ლექციები,

აქტუალურ საკითხებზე. რომლებსაც ატარებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პრაქტიკოსი იურისტები. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინგლისური, გერმანული და რუსულენოვანი ლიტერატურა. სტუდენტებს სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისას შეუძლიათ, ზემოთ ხსენებული ენებიდან მათვთვის სასურველი ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის/შესაბამისი ენის ცოდნის დამადასტურებელი შიდა გამოცდი ჩაბარებით, განახორციელონ სწავლება, შემოთავაზებული ენებიდან მათთვის სასურველ ენაზე. თუმცა იმ პირობების გათვალისწინებით, რომ უცხოენოვანი ლიტერატურის სიმწირე აღინიშნება, როგორც სილაბუსებში ისე ბიბლიოთეკებში, რთულია იმის განსაზღრა, რამდენად შეიძლება მსგავსი ფორმით სწავლების მიზნების სრულად მიღწევა. პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევით ქართულენოვან სილაბუსებთან ერთად არჩევითი ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო კურსები. თუმცა უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა არჩევით საგნების ამ ნაწილზე არჩევანს არ აკეთებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორენდუმები; -დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტი; - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 3 ნოემბრის სხომის #6 ოქმიდან ამონაწერი; -დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა; -დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსები; -თვითშეფასების ანგარიში; - სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის შედეგად მიღებული კრედიტები და მათი აღიარების შესახებ დიკუმენტაცია; -სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების; ტრენინგების, ინგლისურ ენაზე საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები; მოპოვებული საერთაშორისო სტიპენდიების ამსახველი დოკუმენტები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებულად ჩაითვლება, თუ აღნიშნული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა ექნება, იმისთვის, რომ

სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის სუნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი ,სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ამ მიზნის მიღწევისთვის, საჭიროა უცხო ენის შესაბამის დონეზე ცონის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მხრიდან, ვინაიდან სტუდენტების სურვილი იკვეთება, მონაწილოება მიიღონ გაცვლით სასწავლო პროგრამებში, საჭიროა ასევე უნივერსიტეტმა დაფინანსების საკითხი უზრუნველჰყოს. ვინაიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტი არ არის საკმარისი, უნივერსიტეტმა უნდა მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილოვრივი დონორების და კვლევითი ფონდების შესახებ, აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია. ასევე უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველჰყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს რეალურად.

- განსასაზღვრია, მისაღებ გამოცდებზე - ენის სერთიფიკატის რელევანტურობა;
- უნდა განისაზღვროს, უცხო ენათა არსებული ჩამონათვალის გათვალისწინებით, რამდენად აქვს უნივერსიტეტს შესაძლებლობა, შეუქმნას მაგისტრანტს პროგრამით განსაზღვრულ ენებზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის თანაბარი შესაძლებლობები, რომელ ენებზეც ლიტერატურა არ მოიძიება არსებული საბიბლიოთეკო ბაზების პირობებში. ამ ვითარების გათვალისწინებით, სასურველია, კონკრეტული უცხო ენის განსაზღვრა, რაც უფრო შესაძლებელს გახდის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას;
- მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად რამდენიმეენოვანი ლიტერატურა იქნეს მითითებული სილაბუსების დამატებით მასალებში, ძირითადი კი წარმოდგენილი იყოს თანამედროვე ევროპული წყაროებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X	

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. პროგრამის თვითშეფასებაში ძირითადად დახასიათებულია ზოგადად უნივერსიტეტის ლოგისტიკა და ტექნიკური აღჭურვილობა და არ არის პირდაპირ მითითებული ინფრასტრუქტურაზე, რომელიც გამოიყენება უშუალოდ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის, თუმცა ხაზი აქვს გასმული, რომ პროგრამის პერსონალს და სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის ზოგადი ინფრასტრუქტურით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს კრიმინალისტიკის ლაბორატორია, ასევე, იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი, ასევე, აუდიტორიები, რომელიც შემფასებლებმა ნახეს დათვალიერების პროცესში იყო სალექციო პროცესის ჩატარებისთვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან, ასევე, სტუდენტებისან აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, და როგორც აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა შეხვედრისას, იგეგმება 2018 წლის მეორე ნახევარში უნივერსიტეტის კორპუსების რემონტი, თუმცა ეს აქამდეც უნდა განხორციელებულიყო. - ადვილად შესამჩნევია კომპიუტერების ნაკლებობა - შეხვედრისას ფაკულტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა არის აღჭურვილი შესაბამისი ლიტერატურით, თუმცა ზოგადად ბიბლიოთეკაში ნაკლებადაა წარმოდგენილი უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც მოქმედებს როგორც სწავლის ხარისხზე, ასევე, ინტერნაციონალიზაციაზე. - ზოგადად ბიბლიოთეკაზე შეხვედრისას ფაკულტეტის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ბიბლიოთეკა არის ელექტრონული, თუმცა ეს (სავარაუდოდ) გამოიხატება წიგნების ელექტრონულ აღრიცხვაში, რადგან სტუდენტებს წიგნის მოძებნა და მოთხოვნა უწევთ ქაღალდის კარტოთეკის მიხედვით და არა ელექტორნული საშუალებით. - სამაგისტრო პროგრამაში არ მოქმედებს ელექტრონული პროგრამა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სტუდენტებს და ლექტორებს ელექტრონულად მიეღოთ/გაეგზავნათ ინფორმაცია, დავალებები, სასწავლო მასალები, და ა. შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის თვიშეფასება - ადგილზე დათვალიერება - ინტერვიუ რექტორთან, პერსონალთან, სტუდენტებთან - სილაბუსები (შედარებითი საკორპორაციო სამართალი)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- აუცილებელია ინფრასტრუქტურის ბევრად გაუმჯობესება
- აუცილებელია ბიბლიოთეკის ელექტორნიზაცია სტუდენტებისთვის გამოსაყენებლად
- აუცილებელია ბიბლიოთეკის გამდიდრება უცხოენოვანი ლიტერატურით
- აუცილებელია ელექტორნული პროგრამის შექმნა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს და პედაგოგებს ერთმანეთთანურთიერთობაში და პროგრამის შედეგების განხორციელებაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რადგანუნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია კონფლიქტების რეგულირებაზე კონცენტრირება, შესაბამისად, აუცილებელია ისეთი აუდიტორიის არსებობა, რომელიც იქნება მედიაციის სესიებისთვის გათვლილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- შემოწმების დროს ექსპერტთა ჯგუფისმიერ გამომჟღავნდა ერთ-ერთი სილაბუსის სხვა უნივერსიტეტიდან იდენტური შინაარსობრივი ფორმით გადმოღების შემთხვევა (მაგალითად, შედარებითი საკორპორაციო სამართალი). შესაბამისად, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იციან აკადემიურმა და/ან ხარისხის სამსახურმა თუ რა თემებისგან უნდა შედგებოდეს საგნის შინაარსობრივი საკითხები.

- უშუალოდ სილაბუსების შემოწმების დროს გამომჟღავნდა, რომ პროფესორების და პედაგოგების ნაწილი არ აკმაყოფილებს შესაბამისი საგნის წაკითხვისთვის აუცილებელ კომპეტენციას, ასევე, არ აქვთ შესაბამისი საგნის თემებიდან გამომდინარე განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობა, შესაბამისად, რთულია იმის განსაზღვრა თუ რამდენად არის სილაბუსით განსაზღვრული საკითხები პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული.
- მაგალითად, „საბანკო-საკრედიტო სამართალის“ პედაგოგის სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდებაა “გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება” და წარმოდგენილ რეზიუმეზე დაყრდნობით არ აქვს სტატიები საბანკო-საკრედიტო სამართლის მიმართულებით. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც უკვე კითხულობს „საერთაშორისო საბაჟო სამართალს“.
- მეორე მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ „შედარებითი შრომის სამართალი“, რომლის პედაგოგის სადისერტაციო თემის სახელწოდებაა „მეურვეობისა და მზრუნველობის სამართლებრივი რეგულირება“ და წარმოდგენილ რეზიუმეზე დაყრდნობით არ აქვს სტატიები შედარებითი შრომის სამართლის მიმართულებით.
- მესამე მაგალითი შეიძლება იყოს „შედარებითი მუნიციპალური სამართალი“, რომელის პედაგოგის სადისერატიო თემის სახელწოდებაა “საქართველოს რესპუბლიკაში კომპლექსური წყლითსარგებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფა”, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არის მუნიციპალური სამართლის ერთ-ერთი საკითხი, თუმცა საგნის სილაბუსი კონცენტრირდება არა მუნიციპალურ თემებზე სხვადასხვა ქვეყნებთან შედარებითსამართლებრივი ანალიზის თვალსაზრისით, არამედ ახორციელებს საკუთრივ ქვეყნების მუნიციპალური სამართლის შედარებას მათ შორის ისტორიულ კონტექსტში, მაგალითად, „ადგილობრივი თვითმმართველობა ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ტენდენციები XVII-XX საუკუნეებში“; ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია მსოფლიოს დიდი რვიანის ქვეყნებში (იაპონია, იტალია, კანადა, საფრანგეთი); „ადგილობრივი თვითმმართველო სკანდინავიურ ქვეყნებში“; „ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსი ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუციებში“. ასეთი სახის თემებს ჯობია, მაგალითად, ისევ წყლითსარგებლობის საკითხის შედარებითსამართლებრივ ჭრილში განხილვა.
- დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ დასახელებული საგნების პედაგოგებს, წარმოდგენილ რეზიუმეებზე დაყრდნობით არ აქვთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.
- ფაკულტეტის მიწერ მოწოდებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური პერსონალის ოდენობა შეადგენს - 23-ს, ხოლო მოწვეული პერსონალის ოდენობა შეადგენს 8-ს.
- ფაკულტეტის მიერ მოწოდებულ ხელშეკრულებებში ერთი ხელშეკრულება ეხებოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორს, ხოლო კიდევ ერთი პედაგოგის შრომითი ხელშეკრულება არ იყო საქმის მასალებში (სავარაუდოდ აღნიშნული ტექნიკური მიზეზების გამო იქნებოდა განპირობებული).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- რეზიუმეები
- შრომითი ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - აუცილებელია პროგრამის დაკომპლექტება შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული და/ან კვლევითი გამოცდილების მქონე სპეციალისტებით (მათ შორის მათი ვისაც აქვთ საკმარისი გამოცდილება გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები) - აუცილებელია პედაგოგებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ პრაქტიკულ კომპონენტს სწავლების დროს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - ძალიან სასურველია თუ პროგრამის სპეციალისტები იქნებიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **× არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაციულმა და დახმარე პერსონალმა დატოვა დადებითი შთაბეჭდილება. არიან ძალიან მოტივირებულები, კეთილგანწყობილები და ცდილობენ პროგრესისკენ წაიყვანონ უნივერსიტეტი. თუმცა პროგრამაში არსებული ხარვეზების გამო, რთულია ვისაუბროთ მათი კომპეტენტურობის ხარისხზე. აუცილებლია გაძლიერდეს ხარისხის სამსახური, რომლის უფრო ეფექტური ფუნქციონირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა (განსაკუთრებით ზემოთ გათვალისწინებული ხარვეზების ფონზე) პროგრამის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. თუმცა ხარისხის სამსახურში არ იგულისხმება მხოლოდ პერსონალი, არამედ ასევე გასაძლიერებელია ფაკულტეტის პოლიტიკაც ხარისხთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვიშეფასება
- ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ინტერვიუ
- პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- აუცილებელია ხარისხის სამსახურის, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, კომპეტენტურობის გაძლიერება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რამდენიმე სილაბუსში სასწავლო მასალა არ იყო დაფუძნებული უახლეს ლიტერატურაზე, მაგალითად, საგნის "კონსტიტიციური მართლმსაჯულება და სასამართლო პრაქტიკა" სილაბუსში არ არის მითითებული გიორგი კახიანის "საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორია და კანონმდებლობის ანალიზი" (2011), ასევე, დემეტრე გეგენავას 2012 წელს გამოცემული წიგნი "საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები".

ლიტერატურის განხილვის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ, არა მხოლოდ ქართულ, არამედ უახლეს უცხოენოვან ლიტერატურაზეც. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტები არ ფლობენ შესაბამის ენას, აუცილებელია ლიტერატურის თარგმნა ან რიდერების დამზადება. აქედან გამომდინარე, სილაბუსების დაფუძნებული უნდა იყოს ამავდროულად უცხოენოვან ლიტერატურაზეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები

რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

აუცილებელია სილაბუსებში წამყვანი და უახლესი ლიტერატურის მითითება და გამოყენება სალექციო პროცესში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი მიზნობრივი ბიუჯეტი უშუალოდ პროგრამისთვის. შეხვედრის დროს ფაკულტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მომავალში უნივერსიტეტის ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ცალკე თანხები ფაკულტეტისთვის და პროგრამისთვის. ფაკულტეტმა, ასევე, დამატებით წარმოადგინა ამონაწერი ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან, რომელიც არის მიმართვა უნივერსიტეტისათვის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით თანხისგამოყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ რიგი საკითხები არის ძალიან საინტერესო, მაგალითად, 7000 ლარი იურიდიული ლიტერატურის (მათ შორის უცხო ენაზე) შესაძენად, ლექციის წასაკითხად მიწვეული უცხოელი პროფესორების დაფინანსება (9000 ლარი), უნივერსიტეტის მხრიდან საერთო მოგების 5-10%-ის გამოყოფა ფაკულტეტისთვის და ასე შემდეგ. ოქმი თარიღდება 2017 წლის 3 ნოემბრით, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბიუჯეტი, შეუძლებელია იმისი თქმა, რამდენად მოხდა ან არ მოხდა დასახელებული საკითხების გათვალისწინება. თუმცა ბოლო საკითხის, კერძოდ, 5-10%-ის გამოყოფა ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში არ ფიქსირდება. შესაბამისად, შეუძლებელია გავარკვიოთ არის თუ არა პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - უნივერსიტეტის ბიუჯეტი - ამონაწერი სხდომის ოქმიდან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები აუცილებელია პროგრამას ჰქონდეს სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **× არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის განცხადებით უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, თუმცა დასკვნაში ასახული დარღვევების ფონზე აშკარაა, რომ სისტემა დარღვევებით ფუნქციონირებს და აუცილებელია მისი გამოსწორება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასება ○ პროგრამა, სილაბუსები ○ ინტერვიუადმინისტრაციასთან და დამხმარე პერსონალსთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები აუცილებელია ხარისხის პოლიტიკის გაძლიერება და გამკაცრება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **× ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის წარმომადგენლების განცხადებით, ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ ფაკულტეტი იყენებს შეფასების ფორმებს კითხვარების (კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის, კითხვარი დამსაქმებლებისთვის, კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის, კითხვარი სავარაუდო დამსაქმებლებისათვის, სასწავლო კურსის შეფასება, კითხვარი სტუდენტებს) სახით, თუმცა არ დასტურდება რამდენად ხდება ამ კითხვარების შედეგების გამოყენება სწავლების გაუმჯობესების მიზნით. ერთი შემთხვევა, რაც აღინიშნა ინტერვიუს დროს პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან, იყო შეფასებების საფუძველზე სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მოთხოვნა, რასაც შედეგად მოჰყვა პრაქტიკული კლინიკების რაოდენობა ზრდა, თუმცა საკუთრივ საგნების სილაბუსებში პრაქტიკული კომპონენტი ძლიერი არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ ○ მოწოდებული მასალები (კითხვარები)
რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები აუცილებელია შეფასებების გამოყენება ყველა სეგმენტში (პერსონალის, რესურსების, სასწავლო პროცესის, პროგრამის და სხვა საკითხების შეფასება) არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად და მისი ნებისმიერი კომპონენტთან მიმართებაში გავრცობილად გამოყენება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **× ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X	
საბოლოო შეფასება			X

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დავით მაისურაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ვახტან ყვანია

თამთა უბერი

დემეტრე ეგნატაშვილი